საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 29 ნოემბერი, 2017 წელი

დადგენილება № 04-01/10

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მისიის, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მომზადების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მისიის, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მომზადების წესი დანართის შესაბამისად.

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე.მესხია**

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
2017 წლის 29 ნოემბრის
№ 04-01/10 დადგენილების დანართი

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მისიის, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მომზადების წესი

წინამდებარე წესი ადგენს სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში-უნივერსიტეტი) მისიის, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მომზადების წესს.

მუხლი 1.
უნივერსიტეტის მისია უნდა განსაზღვრავდეს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების მიმართულებები უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების მისიას, ეფუძნებოდეს უნივერსიტეტის მიზნებს და ასახავდეს მათი მიღწევის საშუალებებს.

მუხლი 2.
უნივერსიტეტის მისიის, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის პროექტის მომზადების მიზნით უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით იქმნება სარედაქციო ჯგუფი.

მუხლი 3.
სარედაქციო ჯგუფი შეიმუშავებს წინადადებებს უნივერსიტეტის მისიის, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის ტექსტთან დაკავშირებით.

მუხლი 4.
სარედაქციო ჯგუფის მიერ მომზადებული ტექსტების პროექტს განიხილავენ დეპარტამენტები, ფაკულტეტები, სტუდენტთა თვითმმართველობა/ჯგუფები, უნივერსიტეტის პარტნიორები და სხვა დაინტერესებული პირები.

მუხლი 5.
საყოველთაო განხილვებისას გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებს განიხილავს სარედაქციო ჯგუფი და დასრულებული ტექსტების საბოლოო ვერსიას წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.

მუხლი 6.
მისიის, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსიას ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

მუხლი 7.
უნივერსიტეტის დამტკიცებული მისია, სტრატეგიული განვითარების გეგმა და სამოქმედო გეგმა განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.